ინტერპრესნიუსი

11.08.2020

სიღნაღის მუნიციპალიტეტის 8 სოფელში წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები იწყება

ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.
მათივე ინფორმაციით, პროექტი სოფლების - ტიბაანის, ანაგის, ბოდბისხევის, ქვემო ბოდბის, საქობოს, ვაქირის, ჯუგაანისა და ქვემო მაღაროს უწყვეტ წყალმომარაგებას ითვალისწინებს. მშენებლობას ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,გზა" უახლოეს დღეებში დაიწყებს.
,,კონტრაქტორმა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები 26 თვეში უნდა დაასრულოს. სოფლების წყლის სისტემის მოწყობისთვის საქართველოს მთავრობის დაფინანსებით 27 მილიონი ლარია გათვალისიწინებული.
სამუშაოების ფარგლებში გათვალისიწნებულია სრულიად ახალი გამანაწილებელი ქსელის და ჭაბურღილების მოწყობა, ასევე აშენდება ახალი რეზერვუარები და საქლორატორო. სამუშაოების დასრულების შედეგად, აღნიშნული სოფლების მოსახლეობა, რომელიც ათეული წლებია გრაფიკით და საუბნო ჭებით სარგებლობს, პირველად, 24 საათიანი, ხარისხიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი," - ნათქვამია ინფორმაციაში.

წყარო:
https://www.interpressnews.ge/ka/article/613226-signagis-municipalitetis-8-soplis-ucqevti-cqalmomaragebit-uzrunvelsaqopad-sistemebis-mshenebloba-icqeba

IPN

პოლიტიკა სამართალი საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკ
სხვა

საზოგადოება 11.08.2020 / 10:19

სიღნაღის მუნიციპალიტეტის 8 სოფლის უწყვეტი წყალმომარაგებით უზრუნველსაყოფად სისტემების მშენებლობა იწყება

სიღნაღის მუნიციპალიტეტის 8 სოფელში წყლის სისტემის რეაბილიტაციის სამუშაოები იწყება. ამის შესახებ ინფორმაციას საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია ავრცელებს.

მათივე ინფორმაციით, პროექტი სოფლების - ტიბაანის, ანაგის, ბოდბისხევის, ქვემო ბოდბის, საქობოს, ვაქირის, ჯუგაანისა და ქვემო მაღაროს უწყვეტ წყალმომარაგებას ითვალისწინებს. მშენებლობას ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს „გზა" უახლოეს დღეებში დაიწყებს.

,,კონტრაქტორმა პროექტით გათვალისწინებული სამუშაოები 26 თვეში უნდ
დაასრულოს. სოფლების წყლის სისტემის მოწყობისთვის საქართველოს მთავრობის დაფინანსებით 27 მილიონი ლარია გათვალისიწინებული.

სამუშაოების ფარგლებში გათვალისიწნებულია სრულიად ახალი გამანაწილებელი ქსელის და ჭაბურღილების მოწყობა, ასევე აშენდება ახალი რეზერვუარები და საქლორატორო. სამუშაოების დასრულების შედეგად, აღნიშნული სოფლების მოსახლეობა, რომელიც ათეული წლებია გრაფიკით და საუბნო ჭებით სარგებლობს, პირველად, 24 საათიანი, ხარისხიანი წყალმომარაგებით იქნება უზრუნველყოფილი," - ნათქვამია ინფორმაციაში.

NS

გაზიარება

ინტერპრესნიუსი

12.08.2020

თბილისის ზღვის ჰიდროლოგიური კვლევა განხორციელდა

დედაქალაქის მერის, კახა კალაძის განცხადებით, თბილისის ზღვის ჰიდროლოგიური კვლევის შედეგების საფუძველზე მომზადდა რეგულაციები, რომელთა დაცვა თბილისის ზღვის სანიტარული დაცვის ზონებში სავალდებულო იქნება.

როგორც დედაქალაქის მერმა თბილისი მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე განაცხადა, რეგულაციები ძალაში საკრებულოს მიერ შესაბამისი სამართლებრივი აქტის დამტკიცების შემდეგ შევა.

„მერიის ინიციატივით თბილისის ზღვის აუზისა და მიმდებარე ტერიტორიის მასშტაბური ჰიდროლოგიური კვლევა განხორციელდა. ეს კვლევა პირველად ჩატარდა და მისი მიზანი იყო თბილისის ზღვის სანიტარული დაცვის ზონების განსაზღვრა. კვლევის შედეგად დადგინა ზღვის სანიტარული დაცვის არეალები და ზუსტი კოორდინატებით აისახა დედაქალაქის ინტერაქტიულ რუკაზე. თითოეულ დაცვის არეალში შეიზღუდა ისეთი საქმიანობა, რომელიც გამოიწვევს წყლის დაბინძურებას, მათ შორის მშენებლობა, წყალარინების სისტემის თვითნებური დაერთებები, რომლებიც სამწუხაროდ გვქონდა, ეკონომიკური საქმიანობა და ასე შემდეგ“,- განაცხადა კალაძემ.

წყარო:
https://www.interpressnews.ge/ka/article/613434-tbilisis-zgvis-hidrologiuri-kvleva-ganxorcielda

ინტერპრესნიუსი

12.08.2020

თელავში წყალმომარაგების გაუმჯობესებისთვის პირველი ეტაპის სამუშაოები ოქტომბერში დასრულდება

ქალაქ თელავში წყალმომარაგების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად პირველი ეტაპით გათვალისწინებულ სამუშაოებს წყალმომარაგების კომპანია ოქტომბერში დაასრულებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს, ამ დროისთვის მიმდინარეობს ქსელის რეაბილიტაცია, ჭაბურღილებისა და მრიცხველების მოწყობა. თელავში წლებია წყალმომარაგების სისტემა ამორტიზებულია, რის გამოც მოსახლეობას წყალი შეზღუდული გრაფიკით მიეწოდება.

მათივე ცნობით, უკვე შესრულებულ სამუშაოებს წყლამომარაგების კომპანიის დირექტორი, გიგა მანდარია ადგილზე გაეცნო.

,,თელავში ამჟამად მიმდინარეობს წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია და მოსახლეობის გამრიცხველიანება. დაახლეობით 4000-მდე მრიცხველი უნდა დამონტაჟდეს. ასევე, ეწყობა ჭაბურღილები. პირველი ჭაბურღილის მშენებლობა დასრულდა და ამ დროისთვის მიმდინარეობს ტესტირება. შესაბამისად, ამ პროექტების განხორციელების შემდგომ, ჩვენ მივიღებთ გაუმჯობესებულ წყალმომარაგებას თელავის მოსახლეობისათვის. გარდა ამისა, უახლოეს დღეებში გამოცხადდება ახალი ტენდერი, რომელიც გულისხმობს თელავის წყალმომარაგებას ,,წიწმატიანი''- დან და ასევე, იგეგმება მიმდინარე წელს საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით ახალი პროექტის დაწყება, რაც თელავის 24 საათიანი წყალმომარაგებისთვის კეთდება“- განაცხადა თელავში მიმდინარე სამუშაოების დათვალიერების შემდეგ წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა გიგა მანდარიამ.

წყარო:
https://www.interpressnews.ge/ka/article/613468-telavshi-cqalmomaragebis-gaumjobesebistvis-pirveli-etapis-samushaoebi-oktombershi-dasruldeba

თელავში წყალმომარაგების გაუმჯობესებისთვის პირველი ეტაპის სამუშაოები ოქტომბერში დასრულდება

ქალაქ თელავში წყალმომარაგების გაუმჯობესების უზრუნველსაყოფად პირველი ეტაპით გათვალისწინებულ სამუშაოებს წყალმომარაგების კომპანია ოქტომბერში დაასრულებს.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ წყალმომარაგების კომპანიიდან აცნობეს, ამ დროისთვის მიმდინარეობს ქსელის რეაბილიტაცია, ჭაბურღილებისა და მრიცხველების მოწყობა. თელავში წლებია წყალმომარაგების სისტემა ამორტიზებულია, რის გამოც მოსახლეობას წყალი შეზღუდული გრაფიკით მიეწოდება.

მათივე ცნობით, უკვე შესრულებულ სამუშაოებს წყლამომარაგების კომპანიის დირექტორი, გიგა მანდარია ადგილზე გაეცნო.

,,თელავში ამჟამად მიმდინარეობს წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია და მოსახლეობის გამრიცხველიანება. დაახლეობით 4000-მდე მრიცხველი უნდა დამონტაჟდეს. ასევე, ეწყობა ჭაბურღილები. პირველი ჭაბურღილის მშენებლობა დასრულდა და ამ დროისთვის მიმდინარეობს ტესტირება. შესაბამისად, ამ პროექტების განხორციელების შემდგომ, ჩვენ მივიღებთ გაუმჯობესებულ წყალმომარაგებას თელავის მოსახლეობისათვის. გარდა ამისა, უახლოეს დღეებში გამოცხადდება ახალი ტენდერი, რომელიც გულისხმობს თელავის წყალმომარაგებას ,,წიწმატიანი''- დან და ასევე, იგეგმება მიმდინარე წელს საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით ახალი პროექტის დაწყება, რაც თელავის 24 საათიანი წყალმომარაგებისთვის კეთდება“- განაცხადა თელავში მიმდინარე სამუშაოების დათვალიერების შემდეგ წყალმომარაგების კომპანიის დირექტორმა გიგა მანდარიამ.

ინტერპრესნიუსი

14.08.2020

შიდა ქართლში დევნილთა დასახლებაში გზისა და წყლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, შიდა ქართლის რეგიონის დევნილთა დასახლებაში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა.
როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აცნობეს, პროექტს საქართველოს მთავრობის დაფინანსებით 7,2 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდა.
„სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი შენგელიამ და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელმა სიმონ გულედანმა დაათვალიერეს. გზისა და წყალმომარაგების სამუშაოები 11 სხვადასხვა ადგილზე მიმდინარეობდა. მოეწყო 2 ჭაბურღილი და ჯამში 14 კმ გზა დაიგო 9 სხვადასხვა მონაკვეთზე. პროექტის ფარგლებში, მოეწყო სანიაღვრე არხებიც და ეზოში შესასვლელები ცხაურებით. სამუშაოები 2019 წლის ნოემბერში დაიწყო და მიმდინარე წლის აგვისტოში, ვადაზე ადრე, დასრულდა.
პროექტის შედეგად, საგზაო და წყლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა 10 დასახლებაში: წეროვანში, ახალსოფელში, ბერბუკში, თელიანში, მეტეხში, მოხისში, სკრაში, ხურვალეთში, შავშვებსა და გუგუტიანთკარში. იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნა ფონდისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია“, - ნათქვამია ინფორმაციაში.

წყარო:
https://www.interpressnews.ge/ka/article/613768-shida-kartlshi-devnilta-dasaxlebashi-gzisa-da-cqlis-inprastruktura-mocesrigda

IPN

პოლიტიკა სამართალი საზოგადოება მსოფლიო რეგიონი ეკონომიკა სხვა

შიდა ქართლში დევნილთა დასახლებაში გზისა და წყლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდმა, შიდა ქართლის რეგიონის დევნილთა დასახლებაში ადგილობრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და წყალმომარაგების სისტემის სარეაბილიტაციო სამუშაოები დაასრულა.

როგორც „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მუნიციპალური განვითარების ფონდიდან აცნობეს, პროექტს საქართველოს მთავრობის დაფინანსებით 7,2 მილიონ ლარზე მეტი მოხმარდა.

„სარეაბილიტაციო სამუშაოები მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელმა დირექტორმა გიორგი შენგელიამ და შიდა ქართლის სახელმწიფო რწმუნებულის მოვალეობის შემსრულებელმა სიმონ გულედანმა დაათვალიერეს.

გზისა და წყალმომარაგების სამუშაოები 11 სხვადასხვა ადგილზე მიმდინარეობდა. მოეწყო 2 ჭაბურღილი და ჯამში 14 კმ გზა დაიგო 9 სხვადასხვა მონაკვეთზე. პროექტის ფარგლებში, მოეწყო სანიაღვრე არხებიც და ეზოში შესასვლელები ცხაურებით. სამუშაოები 2019 წლის ნოემბერში დაიწყო და მიმდინარე წლის აგვისტოში, ვადაზე ადრე, დასრულდა.

პროექტის შედეგად, საგზაო და წყლის ინფრასტრუქტურა მოწესრიგდა 10 დასახლებაში: წეროვანში, ახალსოფელში, ბერბუკში, თელიანში, მეტეხში, მოხისში, სკრაში, ხურვალეთში, შავშვებსა და გუგუტიანთკარში. იძულებით გადაადგილებული პირებისთვის ღირსეული საცხოვრებელი პირობების შექმნა ფონდისთვის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია“, - ნათქვამია ინფორმაციაში.